MES 4 20 0001211958

18/12/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 04..12.2020
სხდომის დაწყების დრო: 16:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 17: 00 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
სხდომისმდივანი:ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული**-სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **თამარტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - სხდომის მდივანი;
6. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;

8. **პაატა ბრეკაშვილი** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დეკანი;
9. **ირმა წერეთელი-** გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;
10. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
11. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
12. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხალმძღვანელი,პროფესორი;
13. **გაიანე სიმონია** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
14. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
15. **რომეო გალდავა** - სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	თამთა მოხევიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	ანა ქოიავა	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ვლადიმერ მარგველაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I , II
2	ქეთევან ნანობაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
3	ვერა ხუნძაკიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
4	ელენე ხურციძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	დაწესებულება	სტატუსი	საკითხი
	ნინო კორსანტია	სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	სტომატოლოგიის (ქართულენოვანი) პროგრამის ხელმძღვანელი	I, II
	დეა ვადაჭკორია	სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	სტომატოლოგიის (ინგლისურენოვანი) პროგრამის ხელმძღვანელი	I, II
	ხათუნა თოდაძე	სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	ვიცე-რექტორი	I, II
	ნანა ყიფიანი	სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანი	I, II
	დავით თოფურია	სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის დეკანი	I, II
	ირინე კვაჭაძე	სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I, II

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "დიპლომირებული სტომატოლოგის" (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის - „დიპლომირებული სტომატოლოგის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
3. შპს,,მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის „ალტერბრიჯი” – „საზოგადოებრივი უთიერთობებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოს მიერ უკან მობრუნებული საკითხი).

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

ინიციატორი: ირაკლი ბურდული

შუამდგომლობის არგუმენტაცია: შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის „ალტერბრიჯის“ წერილი, საკითხის გადადების თხოვნასთან დაკავშირებით.

დამტკიცებული დღის წესრიგი

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "დიპლომირებული სტომატოლოგის" (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის - „დიპლომირებული სტომატოლოგის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "დიპლომირებული სტომატოლოგის" (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა:

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	06.09.2012 N 360
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-

6	უმაღლესი განათლების საფეხური	
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	ერთსაფეხურიანი
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0911- დენტალური მედიცინა
12	კვალიფიკაციის კოდი	0911
13	სწავლების ენა	ინგლისური
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
15	განხორციელების ადგილი	ვაჟა-ფშაველა გამზ N33, 0177 (0186), თბილისი საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

მეორე საკითხი: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის - „დიპლომირებული სტომატოლოგის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	21.10.2011 N122
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	ერთსაფეხურიანი
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0911- დენტალური მედიცინა
12	კვალიფიკაციის კოდი	0911
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
15	განხორციელების ადგილი	ვაჟა-ფშაველა გამზ N33, 0177 (0186), თბილისი საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადეს- ზურაბ ორჯონიკიძემ,
გაიანე სიმონიამ,
ეკა ეკალაძემ

საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 27-28 ოქტომბერს. ვიზიტი წარიმართა ჰიბრიდულად, 27.10.2020 ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს ფაკულტეტის სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, საფანტომო და სასწავლო კლინიკური ბაზები და ბიბლიოთეკა, ხოლო 28.10.2020 - შეხვედრა ჩატარდა ონლაინ (Zoom-პლატფორმის საშუალებით). ვიზიტის დროს შედგა ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან (რექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ/შ, ფაკულტეტის დეკანი), პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და ადგილობრივ დამსაქმებლებთან. ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს ფაკულტეტის სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, საფანტომო და სასწავლო კლინიკური ბაზები, ბიბლიოთეკა. ინტერვიუების პროცესი მიმდინარეობდა შეუფერხებლად და მშვიდ, კოლეგიურ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში.

უსდ-ს თანამშრომლების მიერ ნაჩვენები იყო თანამშრომლობის სრული მზაობა, ვიზიტის პერიოდში, გასაუბრებისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია დაუყოვნებლივ იქნა წარმოდგენილი. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით. სამუშაო დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა წარმოადგინა ძირითადი მიგნებების წინასწარი პრეზენტაცია უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან.
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული სტომატოლოგის ინგლისურენოვანი პროგრამის აკრედიტაცია განხორციელდა 2012 წლის 6 სექტემბერს და ამოქმედდა 2017 წლიდან. პროგრამა მიზნად ისახავს კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი და კომპეტენტური დიპლომირებული სტომატოლოგის მომზადებას, რომელიც მზად არის დიპლომისშემდგომი განათლებისა და სპეციალიზაციისთვის. პროგრამის მიზნები შეესაბამება თსსუ-ის დეკლარირებულ მისიასა და ღირებულებებს. იგი ნათლად არის ჩამოყალიბებული და მიღწევადია. პროგრამის ხანგრძლივობა 5 წელია, მოცულობა - 300 ECTS კრედიტი. ერთი კრედიტი შეესაბამება 30 საათს.
სავალდებულო და არჩევითი კრედიტების თანაფარდობაა 290/10. საგანმანათლებლო პროგრამა თანმიმდევრული და დღევანდელობასთან ადაპტირებული, თანამედროვე სამეცნიერო და სასწავლო ინფორმაციის შემცველი სასწავლო კურსებით არის წარმოდგენილი. სააკრედიტაციო პერიოდის განმავლობაში პროგრამაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები. კერძოდ, II სემესტრში დაემატა საგანი „სამეცნიერო უნარ-ჩვევები“ – 2 კრედიტი; შეიქმნა კლინიკური ინტეგრაციის 2 კურსი: „ოპერაციული ოდონტოლოგია და ენდოდონტია“, X სემესტრი, „ბავშვთა და მოზარდთა ქირურგიული სტომატოლოგია და ყბა-სახის ქირურგია“, X სემესტრი. 2017/2018 სასწავლო წლის X სემესტრიდან სასწავლო გეგმაში დაემატა სასწავლო კურსი „კომუნიკაციის უნარები“. 2017 წლიდან პროგრამაში გაიზარდა არჩევითი საგნების წილი: მეორე სემესტრში დაემატა „ბიოფარმაციის საფუძვლები“ და „ფიტოთერაპიის საფუძვლები“, ხოლო მეოთხე სემესტრში , „ფიზიკური ფაქტორები სტომატოლოგიურ პრაქტიკაში“ და „ლიდერობა“. 2017 წლიდან სამედიცინო უნივერსიტეტში წარმატებით ხორციელდება პროგრამა, 4 რომელიც გულისხმობს აშშ-ის, ევროკავშირის ქვეყნების, დიდი ბრიტანეთის, თურქეთისა და ისრაელის უნივერსიტეტების წამყვანი პროფესორების მოწვევას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ერთსაფეხურიანი უმაღლესი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის „სტომატოლოგია“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რჩევები:_

1. გაიზარდოს სტუდენტების საერთაშორისო აქტივობები და ჩართულობა გაცვლით პროგრამებში პროგრამის განვითარებისთვის - იქიდან გამომდინარე, რომ მიუხედავად 2012

წელს მიღებული აკრედიტაციისა, პროგრამაზე სტუდენტების მიღება განხორციელდა მხოლოდ 2017 წელს, ინგლისურენოვან დიპლომირებული სტომატოლოგის პროგრამას არ ყავს მაღალკურსელები. რჩევა გაცემულია პროგრამის შემდგომი დახვეწისათვის;

2. დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს სილაბუსით გათვალისიწინებული სავალდებულო მანიპულაციები და არა მხოლოდ 11 ქულა რაც ძალიან ადგვილად მისაღწევია სტუდენტისათვის;

3. დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობად დაწესებული 11-ქულიანი ბარიერი გაიზარდოს (25-მდე) - 11-ქულიანი ბარიერი დამტკიცებულია მინისტრის ბრძანებით განათლების შესახებ (მე-3 ბრძანება) უსდ მოქმედებს კანონით გათვალისწინებული დაშვების ფარგლებში. მაგრამ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ამაღლების მოტივაციის მიზნით გაცემულია რჩევა ბარიერული ქულის აწევის შესახებ;

4. კურსის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პედაგოგების, ასევე სტუდენტების მეტი მოტივაციისა და წახალისების მიზნით მათი სამეცნიერო შრომების გამოქვეყნების ხელშოწყობა მაღალი ციტირების ინდექსის მქონე რეფერირებად ჟურნალებში - აღნიშნული აქტვობა აღინიშება უსდ-ში, თუმცა მეტი ჩართულობა როგორც აკადემიური პერსონალის, მოწვეული პედაგოგებისა თუ სტუნდებისა, წარმოადგენს პროგრამის კიდევ უფრო მეტი სრულყოფილების საწინდარს;

5. უსდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში ცალკე ჩამოყალიბდეს პროგრამის მონიტორინგზე პასუხისმგებელი ჯგუფი - ხარისხის მონიტორინგი მიმდინარეობს უსდ-ში, რასაც ახორციელებს უნივერსიტეტის ხუს-ი. სასუველია პროგრამაზე მონიტორინგის ცალკე ჯგუფის ჩამოყალიბება, რასაც ასევე რჩევის სახით გასცემს სააკრედიტაციო კომისია;

6. უზრუნველყოფილი იქნას ლიტერატურის პერმანენტული განახლება - ამჟამად არსებული სასწავლო კურსი აღნიშნულ პროგრამა უზრუნველყოფილია განახლებული და რელევანტური ლიტერატურით. სასურველია ეს ტენდენცია პერმანენტული ხასიათის იყოს;

7. ქვეყანაში (მსოფლიოში) შექმნილი ეპიდ-სიტუაციის გამო განვითარებული პაციენტის დეფიციტის თავიდან ასაცილებლად და პაციენტის მოზიდვის მიზნით შეიქმნას სპეც-პროგრამები სტუდენტის შეუფერხებელი კლინიკური დატვირთვის ხელშესაწყობად;

8. გაძლიერდეს სტუდენტთა წვდომა ფასიან ბიბლიოთეკებთან და სამეცნიერო პუბლიკაციასთან - სტუდენტთა წვდომის პრეცენდენტი ფასიან ბიბლიოთეკებთან დადასტურდა ბიბლიოთეკის დათვალიერებისას და ადგილზე საკითხის შესწავლისას. თუმცა, ინტერვიუს საფუძველზე, სტუდენტების მხრიდან აღნიშნული იყო, რომ დამატებით ლიტერატურასთან მათ წვდომას პედაგოგები უზრუნველყოფდნენ. ამ ფაქტის გათვალისწინებით გაიცა აღნიშნული რჩევა, რაც მხოლოდ პროგრამის კიდევ უფრო მეტ დახვეწას შეუწყობს ხელს;

9. წახალისდეს სტუდენტების მეტი ჩართულობა სამეცნიერო მუშაობაში - სტუდენტები ჩართულნი არიან კვლევით საქმიანობაში. მათი მეტი მოტივირება წაადგება უსდ-ს აღნიშნული პროგრამის განვითარებისთვის;

10. სასურველია, დამსაქმებლების აქტიური ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში, რათა შემდგომში კიდევ უფრო მეტად იქნას უზრუნველყოფილი შრომის ბაზრის ინტერესების ინტეგრაცია მომავალი დასაქმებულის სწავლის პროცესში - ბაზრის მოკვლევა და დამსაქმებელთა შეფასება, მათი გამოკითხვა არის ის პროცედურები, რაც ჩატარეულია უსდ-ის მიერ და რაც შეასაბამისობაშია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ახალ სტანდარტებთან. პროგრამის გაძლიერებისა და სამომავლოდ კურსდამთავრებულთა უკეთესი ინტეგრირებისთვის შრომის ბაზარზე სასურველია გათვალისწინდეს წინამდებარე რჩევა;

11. დამსაქმებელთა ინტერესის გაძლიერებისა და საერთაშორისო ბაზრისათვის ეფექტიანი პროდუქციის წარმოების მიზნით განხორციელდეს საერთაშორისო და საზღვარგარეთის კლინიკების კვლევა (შესაძლებელია ამ მიზნით უსდ-ს პარტნიორ საუნივერსიტეტო კლინიკებთან დაკავშირება) - ბაზრის კვლევა ჩატარებულია, თუმცა მეტი ინფორმირებულობისთვის და იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო უცხოენოვანი

პროგრამის კურსდამთავრებული საქართველოს ფარგლებს მიღმა გააგრძელებს პროფესიულ საქმიანობას, სასურველია უსდ-ს მიერ განსაზღვრული იქნას პრიორიტეტები, რასაც საზღვარგარეთ არსებული კლინიკა (დაწესებულება) ითვალისწინებს დასაქმებულის აყვანისას;
12) ტექნიკური თუ ბეჭდური ხარვეზების დაკორექტირება სასწავლო პროგრამის სილაბუსებში;
13) სასურველია, საერთაშორისო პროგრამაზე სტუდენტთა მიღების რეგლამენტს მიეცეს ერთიანი სახე, რაც გულისხმობს მათთან გასაუბრების რეგლამენტის დაწესებას, მათ მიერ აკადემიური დონის შესაბამისად ბიო-სამედიცინო მეცნიერებებში ცოდნის შემოწმებას - პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვის წესი რეგულირდება საქართველოს კანონით "უმაღლესი განათლების შესახებ" (52-ე მუხლი). შესაბამისად, რჩევა გაცემულია პროგრამაზე კიდევ უფრო მაღალი აკადემიური დონის მქონე აპლიკანტების მისაღებად, რაც საფუძველს შეუქმნის პროგრამის გაძლიერებას სამომავლოდ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მიმოიხილა დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა

პროგრამაში ზოგიერთი სასწავლო კურსის დასრულებისას სტუდენტთა შეფასება ხორციელდება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდით (OSCE), რაც უმნიშვნელოვანესია სტუდენტის როგორც თეორიული ცოდნის, ასევე - პრაქტიკული უნარების ობიექტურად შესაფასებლად. პროგრამაში ჩართულია ინტეგრირებული სასწავლო კურსები, რომელთა შეფასება გამოითვლება შესაბამისი ალგორითმის საშუალებით. ხორციელდება კომუნიკაციური უნარების სწავლება. „დარგობრივი საორიენტაციო კურსი სტომატოლოგიაში", რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტს დეტალურად, მისი აკადემიური მომზადების დონის გათვალისწინებით, გააცნოს სტომატოლოგის სპეციალობის სპეციფიკა, ასევე, დიპლომირებული სტომატოლოგის როლი ჯანმრთელობის დაცვის თანამედროვე სისტემაში.
თსსუ-ის აპოლომ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის საერთაშორისო დონის საფანტომო-სიმულაციური კლასის არსებობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ განსაზღვრული რჩევების ნაწილი რეალიზებულია.
გამოცდის ბარიერთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ცვლილების პროექტი უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციის ვიზიტის დროს იყო მომზადებული, შესაბამისად, 6 ნოემბრის აკადემიური საბჭოს კრებაზე მოხდა აღნიშნულის დამტკიცება და ცვლილების შეტანა სტუდენტის შეფასების წესში. აქედან გამომდინარე 11 ქულის ნაცვლად, ბარიერად განისაზღვრა 27 ქულა.
მე-5 რჩევასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხარისხის სამსახური მუდმივად იყო და იქნება ჩართული მონიტორინგის პროცესში. დაწესებულებაში სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება ფუნქციური ჯგუფის მიერ. სწავლების ონლაინ რეჟიმმა კიდევ უფრო გაზარდა მონიტორინგის მასშტაბები, შესაბამისად, ხარისხის სამსახური თავისი პერსონალით სრულად ჩაერთო აღნიშნულ პროცესში. ექსპერტთა რჩევა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით განხორციელებული იქნება ეტაპობრივად.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ვიცე-რექტორმა ისაუბრა ინტერნაციონალიზაციასა და სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მოტივაციის ამაღლებაზე. რაც შეეხება ინტერნაციონალიზაციას, უნივერსიტეტს საკმაოდ დიდი ქსელი აქვს საზღვარგარეთ. დაწესებულება თანამშრომლობს 200-მდე პარტნიორ კლინიკასა და უნივერსიტეტთან ამერიკისა და ევროპის მასშტაბით. ერასმუს პროგრამის ფარგლებში

ჩართულია 36-მდე უნივერსიტეტი. მიუხედავად, იმისა, რომ სტომატოლოგიის ფაკულტეტის არქონის გამო სტუდენტების სასწავლებლად გაშვება ყველა უნივერსიტეტში ვერ ხდება, საბაზო დისციპლინების ფარგლებში, რომლებიც შედის სტომატოლოგიის კურიკულუმში, ხშირად ხდება სტუდენტების როგორც გაგზავნა, ასევე უცხოელი სტუდენტების მიღება. იმ უნივერსიტეტებში, რომლებსაც აქვთ სტომატოლოგიის ფაკულტეტი, ხორციელდება როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური პერსონალის სასწავლო პროცესში ჩართვა, რომლების საერთაშორისო გამოცდილებას ადგილზე იზიარებენ. უნივერსიტეტი აქტიურად გეგმავს ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაფართოვებას.
რაც შეეხება მე-4 რჩევას, სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამის სტუდენტისთვის, საკმაოდ რთულია ისეთი ნაშრომის შესრულება, რომელიც მოხვდება რეფერირებად ჟურნალებში. ძირითადად, სტუდენტური ნაშრომების შეფასება და განხილვა ხორციელდება სტუდენტური კონფერენციების ფარგლებში. უნივერსიტეტის სტუდენტები ასევე აქტიურად არიან ჩართულნი ევროპის მედიცინის სტუდენტთა ასოციაციის საქმიანობაში. უნივერსიტეტის თვითმართველობის დაფინანსებით ყოველწლიურად სტუდენტები მონაწილოებას იღებენ კონფერენციებსა და კონგრესებში.
პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა მე-7 რჩევასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი სასწავლო პროგრამა უზრუნველყოფს სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, არამხოლოდ თეორიულ, არამედ, პრაქტიკულ სწავლებას. პრაქტიკული უნარების გამომუშავება საწყის საფეხურზე გამოიხატება სტომატოლოგიურ ფანტომურ რეჟიმზე, ხოლო პრაქტიკული უნარების გაღრმავება პაციენტის მიღებით მიიღწევა, რა თქმა უნდა ლექტორის ზედამხედველობის ქვეშ. 2019-2020 გაზაფხულის სასწავლო წლის სემესტრის გამოცდილებამ და დისტანციურმა სწავლებამ წარმოშვა ახალი მეთოდების დანერგვის აუცილებლობა. დაწესებულებაში დროულად დაიწყო და ხარვეზების გარეშე ხორციელდება დისტანციური სწავლება, ხოლო რაც შეეხება შემოდგომის სემესტრს, დაწესებულება გადავიდა ჰიბრიდული სწავლების მეთოდზე, რომლის მიხედვითაც, პრაქტიკული კურსები ხორციელდება ფიზიკური დასწრებით. პრაქტიკული კურსების განხორციელება და სტუდენტების ფანტომურ რეჟიმში მუშაობა, პაციენტების მიღებასთან ერთად ხორციელდება კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებული პროტოკოლების მაქსიმალური დაცვით. იმ მიზნით, რომ მოხდეს თითოეული სტუდენტის პრაქტიკულ მეცადინეობებში ჩართვა, მოხდა სემესტრის გახანგრძლივება, შესაბამისად, სტუდენტების ნაწილისთვის პრაქტიკული კურსები ჩატარდება თებერვალში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა აღნიშნა, რომ იმის მიუხედავად, რომ არ არსებობს სტომატოლოგიის დარგობრივი მახასიათებელი, დაწესებულების მიერ პროგრამის სწავლების შედეგები გაწერილია საკმაოდ დეტალურად. საბჭოს წევრმა დააზუსტა OSCE-ს საკითხი და მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს გაეზიარებინათ თავიანთი გამოცდილება.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ OSCE - ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა, დაწესებულებაში ფუნქციონირებს 2009 წლიდან. თავდაპირველად არსებობდა მხოლოდ 4 სადგური. დაწესებულებამ ასევე შემოიღო ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა, რომელიც წარმოადგენს სტუდენტთა ცოდნის შეფასების საკმაოდ ობიექტურ მეთოდს. დღევანდელი მონაცემებით, დაწესებულებას აქვს 11 სადგური, თითოეული სადგური არის 6 წუთიანი. გამოცდის ერთი ციკლი ხორციელდება 77 წუთის მანძილზე, ანუ საათი და 17 წუთია საჭირო 11 სტუდენტის გამოსაცდელად. თითოეულ სადგურზე არის სხვადასხვა გამომცდელი და არის ერთი და იგივე პირობა სტუდენტისთვის. გამოცდაზე შესვლამდე თითოეული სტუდენტი ეცნობა კითხვარს, სადაც მოცემულია, თუ რა დავალების შესრულება მოუწევს სტუდენტს. გარდა ამისა თითოეულ სადგურზე მოცემულია

დეტალური ქულობრივი შეფასების სქემა და თითოეული მანიპულაცია. ციკლის შემდგომ ხდება მონაცემების შეგროვება და 30 წუთის განმავლობაში ხდება ნიშნების ელექტრონულ ჟურნალში ასახვა. თითოეული სადგურის შემდგომ სტუდენტები წარმოადგენენ თავიანთ უკუკავშირს წერილობითი ფორმით, ასევე მათ ეგზავნებათ გამოცდასთან დაკავშირებული კითხვარი. აღნიშნული გამოცდა ასევე იძლევა სწავლის შედეგების შეფასების საშუალებას, თუ სტუდენტთა უმეტესობა ვერ ახერხებს კონკრეტულ სადგურზე მოცემული პირობის შესრულებას, ხდება შემდგომ მისის ცვლილება და მოდიფიკაცია. ყოველ წელს ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა არის განსხვავებული, უფრო დახვეწილი და მრავალფეროვანი. დაწესებულებას ასევე ჰყავს სტანდარტიზებული პაციენტები, რომელთა საშუალებითაც მოწმდება სტუდენტების კომუნიკაციის უნარები და რომელსაც ჰყავს დამოუკიდებელი შემფასებელი.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დეტალურად განიხილა თუ როგორ ნაწილდება დრო თითოეულ სადგურზე, კერძოდ, თავდაპირველად აკადემიური პერსონალი გადის აღნიშნულ გამოცდას, რეპეტიციის სახით და ამოწმებს რამდენად საკმარისია განსაზღვრული დრო და შესაბამისია თუ არა იგი თითოეულ სადგურზე მოცემულ პირობასთან. დაწესებულებისა და პროგრამის ხელმძღვანელების მიერ კონკრეტულად არის გაწერილი თითოეულ კითხვასა თუ პირობაზე რამდენი დროა საჭირო.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:52
დასრულების დრო: 16:58

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "დიპლომირებული სტომატოლოგის" (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტ ების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8

მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "დიპლომირებული სტომატოლოგის" (ინგლისურენოვანი) ერთსაფეხურიანი და „დიპლომირებული სტომატოლოგის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებსს მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა